№1072 2015 წლის 27 მაისი ქ. თბილისი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებისათვის – საქართველოს სასაზღვრო პოლიციისთვის სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობის ვადის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ტყის კოდექსის 52-ე მუხლის, „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებით დამტკიცებული წესის 27^1 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტისა და 27^4 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად:

1. ხობის მუნიციპალიტეტში, სახელმწიფო/საზოგადოებრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული პროექტის (სარადარო ანტენების განთავსება) განხორციელების მიზნით, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ, სამეგრელო-ზემო სვანეთის სატყეო სამსახურის კოლხეთის სატყეო უბნის ხეთის სატყეოს კვარტალ №2-ის ლიტერ №4-ში არსებულ 400 კვ.მ მიწის ფართობზე, სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობის (ხე-მცენარეების მოჭრის უფლებით) ვადა საქართველოს შინაგან საქმეთა

სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას – საქართველოს სასაზღვრო პოლიციას განესაზღვროს 49 (ორმოცდაცხრა) წლით.

2. სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობისთვის, საკომპენსაციო ღონისძიების სახით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებამ – საქართველოს სასაზღვრო პოლიციამ სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სამეგრელო-ზემო სვანეთის სატყეო სამსახურის კოლხეთის სატყეო უბნის ჭურიის სატყეოს №5 კვარტლის №8 ლიტერში, სპეციალური დანიშნულებით სარგებლობას დაქვემდებარებულ ტოლფას ფართობზე (400 კვ.მ) 2015 წლის 15 ოქტომბრიდან 15 ნოემბრამდე უზრუნველყოს ტყის აღდგენის ღონისძიება – ტყის კულტურების გაშენება.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**